ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 18

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ — „ხელშეკრულება“) — „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1. ერთის მხრივ სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია წარმოდგენილი რექტორის ყარამან ქუთათელაძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,კომპანია Geosm“ წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო საქონლის შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად (CPV კოდი 30192131, 30192132, 30194310, 30194820, 30199310).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 316.60 (სამასთექვსმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
4.2. დაფინანსების წყარო: 2023 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და გეგმა-გრაფიკი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.2. საქონლის მიწოდების საბოლოო ვადაა 2023 წლის 25 მაისი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების ხარისხზე, ვარგისიანობასა და დროულობაზე.
6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას ხელშეკრულების ღირებულება დადგენილი ოდენობით.

6.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
6.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
6.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
6.6. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეუცვლის შემსყიდველს უხარისხო საქონელი.
6.7. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანართებში არსებული მონაცემების მიხედვით.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება საქონლის მიწოდების შემდეგ.
7.3. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პასუხისმგებელ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს საფინანსო სამსახურის უფროსი დავით ათაბეგაშვილი ან/და მისი მოვალეობის შემსრულებელი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გურამ იაკობაშვილი ან/და მისი მოვალეობის შემსრულებელი.

9. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
10.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტების გაფორმების შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

11. ფასები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
11.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის ცალმხრივად შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.
13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01% ოდენობით.
14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
15.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და დამოწმებული იქნება მხარეთა კვალიფიციური შტამპით ან/და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: **სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია** ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ, 22 ს/კ 203851545 სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22 ა/ა 708913459	მიმწოდებელი: **შ.პ.ს. „კომპანია Geosm“** ქ. თბილისი, ასათიანის ქ. N14 ს/კ 404873614 ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ კოდი MIBGGE22 ა/ა GE45PC0223600100010827
რექტორი ყარამან ქუთათელაძე LEPL Apollon Kutateladze Tbilisi State Academy of Art Digitally signed by LEPL Apollon Kutateladze Tbilisi State Academy of Art Date: 2023.05.17 14:19:02 +04'00'	დირექტორი თეიმურაზ ახობაძე Company GEOSM LTD Digitally signed by Company GEOSM LTD Date: 2023.05.17 16:14:24 +04'00'

ვიზა
საფინანსო სამსახურის უფროსი
დავით ათაბეგაშვილი

David Atabegashvili 01005000095
Digitally signed by David Atabegashvili
Date: 2023.05.17 14:15:18

N18 ხელშეკრულების დანართი N1						
შემსყიდველი			მიმწოდებელი			
სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია			შ.პ.ს. ,,კომპანია Geosm" (ს/კ 404873614)		ერთ. ფასი	მთლიანი ფასი
N	დასახელება	კლასიფიკატორის (CVP) კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა		
1	მექანიკური ფანქარი Deli 0.5მმ წვერით	30192131	ცალი	10	1.14	11.40
2	გრიფელი მექანიკური ფანქრისათვის 0.5მმ 2B Deli 20 ცალი	30192132	ცალი	10	0.88	8.80
3	გრიფელი მექანიკური ფანქრისათვის HB Deli 0.5მმ წვერით	30192132	ცალი	10	1.18	11.80
4	ფარგლის ნაკრები 4 ნივთი Deli	30194310	ცალი	10	9.60	96.00
5	სახაზავი სამკუთხედი Deli 25სმ	30194820	ცალი	10	2.96	29.60
6	ფერადი ქაღალდი Tulipe ფირუზისფერი Clairefontaine 160გ/მ² A4 1 ფურცელი	30199310	ცალი	300	0.53	159.00
ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება			316.60	(სამასთექვსმეტი ლარი და 60 თეთრი)		